ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 60

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №19.235.278 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე